დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სოციოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

9 მარტი, 2023 წელი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ფლორა

გვარი: ესებუა

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სოციოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VI
4	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Sociology
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	N/A
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები Sociology and Cultural Studies
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32 თბილისი, 0179, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 06.12.2021, გადაწყვეტილება №1315324
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	06/12/2021

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 06 დეკემბრამდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31 დეკემბერი 2028

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია დაზუსტდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პრინციპი პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვისა და გაუმჯობესების მიზნით;
2. რეკომენდებულია, პროგრამაში სფეროს თანამედროვე მიღწევების ინტეგრირების მიზნით, პოსტმოდერნული თეორიების კურსის დამატება, აგრეთვე სოციოლოგიის დარგობრივი კურსების ბოლო პერიოდის რელევანტური კვლევებით განახლება.
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის გასაზომად და მის საფუძველზე პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით, ნათლად განისაზღვროს, რომელი სავალდებულო კურსი პროგრამის რომელ სწავლის შედეგებზე გადის.
4. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში აღმოფხვრილ იქნას თემატური გადაფარვები და დაზუსტდეს სასწავლო მასალის მოცულობა კურსის/თემატიკის გათვალისწინებით.
5. რეკომენდებულია, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის *სოციოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)* ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარდგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ანგარიშის წარსადგენად განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ, 2022 წლის 6 დეკემბერს. საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წლის 6 დეკემბერს და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღადაც ეს უკანასკნელი განისაზღვრა. ამავე გადაწყვეტილების ფარგლებში საბაკალავრო პროგრამისთვის გაიცა 5 რეკომენდაცია, რომლებიც შესასრულებელი რეკომენდაციების ნაწილშია წარმოდგენილი.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, საბაკალავრო პროგრამისთვის *„სოციოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)* გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე იმუშავა ჯგუფმა, რომელთა შემადგენლობაშიც წარმოდგენილნი იყვნენ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური გუნდის წევრები. კერძოდ, რეკომენდაციების შესრულებაზე იმუშავა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით:

- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ნინო მატარაძე;
- საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ემზარ ჯგერენაია;
- პროფესორი მამუკა ნადარეიშვილი;
- ასოცირებული პროფესორი სოფო ზვიადაძე;
- ასისტენტ-პროფესორი ნინო რჩეულიშვილი;
- ასისტენტ-პროფესორი მარიამ დალაქიშვილი;
- ასისტენტ-პროფესორი ვანო კეჭაყმაძე;

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მაკა ლაშხია;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ზვიად ზალიკიანი.

სამუშაო ჯგუფის მიერ განახლდა პროგრამის შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც დამტკიცდა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეკომენდაციები შესრულებულია.

რჩევ(ებ)ი[8]

1. პროგრამის მიზნების სრულყოფილად განხორციელებისთვის, სასურველია, კურიკულუმს დაემატოს პოსტმოდერნული თეორიების და პროფესიული ინგლისური ენის კურსი.
2. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია მისი საერთო საფაკულტეტო სტრატეგიის შემუშავება.
3. სასურველია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი.
4. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების და დახვეწის პროცესში, სტუდენტების და კურსდამთავრებულების უშუალო ჩართვა სამუშაო ჯგუფებში.
5. სასურველია, უსდ-ის ვებგვერდსა და პროგრამის აღწერაში თვალსაჩინოდ აისახოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.
6. სასურველია, წინაპირობები მკაფიოდ და თანმიმდევრულად განისაზღვროს ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის;
7. სასურველია, პროგრამამ შესთავაზოს სტუდენტებს კვლევის მეთოდების პრაქტიკუმები სავალდებულო-არჩევითი კურსების სახით.
8. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ ერთიანი მიდგომის შემუშავება, განსაკუთრებით, სილაბუსებში თითოეული სალექციო თემის სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისი გვერდების ასახვა.
9. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის რეალურად წახალისების მიზნით, მისთვის ერთ სასწავლო კურსზე მეტი კრედიტის მინიჭება.
10. სასურველია არჩევით ბლოკში დაემატოს ეკონომიკის საფუძვლების სასწავლო კურსი/თემატიკები.
11. სასურველია, კურსის სრულყოფის მიზნით, გადაიხედოს სასწავლო კურსი „მენეჯმენტის სოციოლოგია“, სილაბუსში შემავალი თემები და ლიტერატურა.
12. სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დოქტორანტთა რაოდენობის გაზრდა.
13. სასურველია პროფესორ-მასწავლებელთა CV-ის საერთო ფორმის შემუშავება, რათა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენა შეიქმნას;
14. სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებების გააქტიურება, რაც მათ პროფესიულ განვითარებაში პოზიტიურ წვლილს შეიტანდა.
15. სასურველია, პროგრამის დახვეწის მიზნით, გარე ექსპერტული შეფასებების სათანადოდ გათვალისწინება.

---

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

N/A

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია დაზუსტდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პრინციპი პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვისა და გაუმჯობესების მიზნით
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში პირველადი სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას ხდება ბოლო 3 წლის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებლის გამოყენება კონკრეტული შეფასების კომპონენტთან მიმართებაში. დაწესებულების თანახმადვე, მომავალში სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა დამოკიდებული იქნება სწორედ ამ საბაზო (baseline) მონაცემებზე და მათ მიმართებაზე უკვე განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულთან. განმარტების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი სამიზნე ნიშნული იქნება მიღწეული, შემდგომი ეტაპისთვის დაიგეგმება ნიშნულის ზღვარის აწევა; იმ შემთხვევაში კი, თუ სამიზნე ნიშნულის მიღწევა ვერ მოხერხდება, დაწესებულება და უშუალოდ პროგრამა განსაზღვრავს მექანიზმებს, რომელთა გამოყენებითაც უნდა მოხდეს შედეგების გაუმჯობესება. აღნიშნული არგუმენტაცია გასაგებია და მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც, მის თანახმად, არსებობს მიდგომა, რომელიც ამ ეტაპზე უზრუნველყოფს სამიზნე ნიშნულების გაზომვას, მათ დადარებას კონკრეტულ მონაცემებთან და, ასევე, არსებობს მზაობა, გამოკვეთილი რეალობიდან გამომდინარე მოხდეს შესაბამისი რეაგირება მომავალში სამიზნე ნიშნულების გაზომვის კონტექსტში. ამდენად რეკომენდაცია შესრულებულია.

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა[15] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდებულია, პროგრამაში სფეროს თანამედროვე მიღწევების ინტეგრირების მიზნით, პოსტმოდერნული თეორიების კურსის დამატება, აგრეთვე სოციოლოგიის დარგობრივი კურსების ბოლო პერიოდის რელევანტური კვლევებით განახლება.
შეფასება	ანგარიშის შესაბამისად, რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა პოსტმოდერნული თეორიების კურსი. ახალი კურსის ,,პოსტმოდერნიზმი: კონცეპტი და თეორიები" სილაბუსის თანახმად, პოსტმოდერნული თეორიების მნიშვნელოვანი ავტორები და მიდგომები დაფარულია. შესაბამისად, რეკომენდაციის ეს კომპონენტი სრულად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ამავე რეკომენდაციის მეორე კომპონენტს, რომელიც სოციოლოგიის დარგობრივი კურსების ბოლო პერიოდის რელევანტური კვლევებით განახლებას გულისხმობს, აქ ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი იყო ორი კურსის სილაბუსი; კერძოდ, ,,ნაციონალური იდენტობის სოციოლოგია" და ,,გლობალური სოციალური ცვლილებები", რომლებშიც, ანგარიშის თანახმად, განახლდა სასწავლო მასალა. დამატებით, დაწესებულებამ წარმოადგინა

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	შემდეგი კურსების სილაბუსები: სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში, ქალთა ქონებრივი უფლებების გენდერული ასპექტები და გენდერის სოციოლოგია. ამ სილაბუსებში წარმოდგენილ ლიტერატურაში ასახულია ბოლო წლების სხვადასხვა კვლევა. უნდა ჩავთვალოთ, რომ სხვა დარგობრივი სოციოლოგიების კურსების შემთხვევაშიც, კურსების ავტორები იგივე მიდგომას იყენებნ და სხვა კურსების ფარგლებშიც აღმოფხვრილია შესაბამისი ხარვეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამდენად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[17] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	▪ სასწავლო კურსების სილაბუსები: - *პოსტმოდერნიზმი: კონცეპტი და თეორიები* - *ნაციონალური იდენტობის სოციოლოგია* - *გლობალური სოციალური ცვლილებები* - *სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში* - *გენდერის სოციოლოგია* - *ქალთა ქონებრივი უფლებების გენდერული ასპექტები*

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II[18]	რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის გასაზომად და მის საფუძველზე პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით, ნათლად განისაზღვროს, რომელი სავალდებულო კურსი პროგრამის რომელ სწავლის შედეგებზე გადის
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულებად წარმოდგენილია კომპეტენციათა რუკა, რომელშიც ასახულია საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსების მიმართება პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგთან.

[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	სწავლის შედეგებისა და სავალდებულო კურსების სახელწოდებების (შესაბამისად, მათი სავარაუდო შინაარსის) გათვალისწინებით, კომპეტენციათა რუკაზე ასახული მიმართება თითოეული კურსისა სწავლის შედეგებთან კითხვებს არ იწვევს, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, რაც, სავარაუდოდ, ტექნიკურ შეცდომას წარმოადგენს. კერძოდ, კურსები *კლასიკური სოციოლოგიური თეორიები* და *თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები* ვერ იქნება განხილული კურსებად, რომლებიც გადის შედეგზე #7 *(იცავს დარგში არსებულ ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებს კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კვლევითი ანგარიშის),* როგორც, მაგალითისთვის, ამავე შედეგზე ვერ გავა *სოციოლოგიის შესავლის* კურსი, რომლის მიმართებაც შედეგებთან შესაბამისადაა ასახული. რამდენადაც ამ ტექნიკური ხარვეზის გასწორება მარტივია, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.
რჩევა[19] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	▪ კომპეტენციათა რუკა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II[20]	რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში აღმოფხვრილ იქნას თემატური გადაფარვები და დაზუსტდეს სასწავლო მასალის მოცულობა კურსის/თემატიკის გათვალისწინებით.
შეფასება	მართალია, მტკიცებულებებთან ერთად წარმოდგენილ ოქმში არ არის მითითება კონკრეტულ კურსებზე, რომლებშიც უნდა მომხდარიყო თემატური გადაფარვების აღმოფხვრა, თუმცა ანგარიშში

[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	წარმოდგენილი აღწერიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ეხება კურსებს *შესავალი რელიგიის სოციოლოგიაში* და *ემილ დურკჰაიმი, რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები.* ანგარიშის თანახმად, რეკომენდაციის გათვალისწინებით, კურსში "შესავალი რელიგიის სოციოლოგიაში" დაკონკრეტდა კვირების მიხედვით წასაკითხი მასალის გვერდები შემდეგ კურსთან მიმართებაში "ემილ დურკჰაიმი, "რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები" - ტექსტი და კომენტარი", რათა უზრუნველყოფილიყო ბუნდოვანებისა და თემატური გადაფარვების თავიდან აცილება. მტკიცებულებად წარმოდგენილია სილაბუსი კურსისთვის *შესავალი რელიგიის სოციოლოგიაში,* სადაც მე-4 და მე-5 კვირისთვის მითითებულია შესაბამისი გვერდები (ორივე კვირისთვის წასაკითხი მასალის გვერდებად მითითებულია გვ. 41-74). კურსის შინაარსიდან თუ მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია საკითხავი მასალა ერთიანად მიეთითოს, ამდენად ორივე კვირისთვის იდენტური გვერდების მითითება არ უნდა მივიჩნიოთ გამოწვევად. იმ შემთხვევაში კი, თუ აუცილებელია თითოეული კვირისთვის საკითხავი მასალის მკაფიო გაყოფა, ეს ტექნიკური საკითხი მარტივად მოგვარებადია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკითხისა და ავტორის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, რელიგიის სოციოლოგიის კურსის ფარგლებში მისი არწარმოდგენა იმ მოტივით, რომ ცალკე კურსიც არსებობს, რელიგიის სოციოლოგიის კურსისთვის სერიოზული ხარვეზი იქნებოდა. მითუფრო, რომ ანგარიშის თანახმად, თითოეული კურსის ფარგლებში თემატიკის განხილვა ხდება მხოლოდ შესაბამისი კურსის პერსპექტივის გათვალისწინებით. აქვე საგულისხმოა ოქმში ასახული ექსპერტთა ჯგუფის პოზიციაც, რომლის თანახმადაც, იმთავითვე გადაფარვებთან დაკავშირებით მასშტაბი არ ყოფილა დიდი, თემების გამეორება კი აკადემიური თავისუფლების ნაწილშიც ექცევა (ოქმი, გვ. 22). ამდენად, რეკომენდაციის ეს ნაწილი სრულად შესრულებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ. რაც შეეხება ამავე რეკომენაციით გათვალისწინებულ კიდევ ერთ საკითხს, კერძოდ, სასწავლო კურსის მოცულობის დაზუსტებას თემატიკის

	გათვალისწინებით, შესაძლებელია მივიღოთ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტი, რომლის თანახმადაც, თოთოული კვირისთვის მასალის გვერდების რაოდენობის მითითება არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას კურსის სილაბუსისადმი და არ არის განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[21] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	▪ სილაბუსი - *შესავალი რელიგიის სოციოლოგიაში*

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია II[22]	რეკომენდებულია, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და მტკიცებულებების თანახმად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობისთვის რამდენიმე მიმათულებით ახორციელებს აქტივობებს. ამას ადასტურებს შემდეგი მტკიცებულებები: პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის (PPDC) მიერ ჩატარებული ტრენინგები *(ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, ტრენინგი აქტიური სწავლა შეტრიალებელ გაკვეთილზე)*, ასევე, როგორც ანგარიშშია აღნიშნული, ცენტრის მიერ დაგეგმილი ტრენინგები. ამასთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს/მონაწილეობს ევროკავშირის მიერ

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მხარდაჭერილ რამდენიმე პროექტში. კერძოდ, ერაზმუს პლუსის ინსტიტუციური განვითარების პროექტში „სწავლების ოპტიმიზაცია და აკადემიური ინკლუზია დისტანციური სწავლისა და სწავლების გამოყენებით“ (LoveDistance); Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პირველი ეროვნული პროექტის ''Responsible Conduct of Research - Research Integrity and Ethics in Georgian Universities (ETHICS)'' განხორციელება დაგეგმილია 2023 წელს. ასევე, პროექტი "Increasing Knowledge and Partnerships on Mental Health and Psychosocial Support for Helpers in Pandemics and Conflicts", რომლის ერთ-ერთ კომპონენტსაც, მტკიცებულების თანახმად, წარმოადგენს ემპირიული კვლევა. ამ კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია საბაკალავრო პროგრამის “სოციოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) აკადემიური პერსონალი. აქვე აღსანიშნავია, რომ 2022-2023 წლის შემოდგომის სემესტრიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, მაია არავიაშვილი, Fulbright Visiting Scholar Program-ის ფარგლებში The New School უნივერსიტეტში მუშაობდა კვლევით პროექტზე და მასზე მუშაობის დასრულების შემდეგ ავტორი საბაკალავრო პროგრამის „სოციოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) სტუდენტებს ახალ კურსს შესთავაზებს. ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ რეკომენდაციის შესრულება, შესაბამისად, დაწესებულების მიერ პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების მხარდაჭერის საკითხი კითხვის ნიშნებს არ აჩენს.
რჩევა[23] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	▪ პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC) დებულება; ▪ ჩატარებული/დაგეგმილი ტრენინგების სილაბუსები; ▪ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური განვითარების პროექტების მოკლე აღწერა.

[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

თანდართული დოკუმენტაცია[24]

- საგანამანათლებლო პროგრამის კომპეტენციათა რუკა და სილაბუსები;
- პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC) დებულება;
- ჩატარებული/დაგეგმილი ტრენინგების სილაბუსები;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური განვითარების პროექტების მოკლე აღწერა.

ექსპერტის ხელმოწერა

ფლორა ესებუა

[24] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა